პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 195 (4965)
1973 წ.
3 ოქტომბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიხეილ ჩაჩბას მემორიალი

სოხუმში მეხუთედ ტარდება აფხაზეთის ჩემპიონატი წყალში ხტომაში სსრ კავშირის რესპუბლიკებისა და ქალაქების უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით. ეს ჩემპიონატი გამოჩენილი სპორტსმენის, სპორტის ოსტატის, ოლიმპიური თამაშების მონაწილის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონ მიხეილ ჩაჩბას ხსოვნას ეძღვნება.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ცნობილი სპორტსმენები: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — სსრ კავშირის ჩემპიონი, ევროპის თასზე შეჯიბრებაში გამარჯვებული, XX ოლიმპიური თამაშების მონაწილე ვ. სტრახოვი (მოსკოვი), სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ს. კოჩარიანი, დიდ საკავშირო შეჯიბრებებსა და საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი ა. კუშნინკინი (ორივე — ერევანი), ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სპორტის ოსტატი ა. გენდრიკსონი (ალმა-ათა), სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი ლ. ტიტარენკო (კიევი), სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული ვ. ლაგო (მოსკოვი) და სხვები. ამან შეჯიბრებას ინტერესი შემატა. სულ ბრძოლაში 60-ზე მეტი სპორტსმენი ჩაება.

პირველ დღეს ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვება მოიპოვა დუშანბელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. პომოშჩნიკოვმა, რომელმაც 548,28 ქულა დააგროვა. მეორე იყო ტაშკენტელი ა. დრიგაილო, მესამე — ი. მოსკალიოვი (უზბეკეთი). სამივემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

კოშკიდან ხტომაში თავი გამოიჩინეს სოხუმელმა გოგონებმა ე. ბოიარკინამ და ნ. კალაშნიკოვამ, რომელთაც I-II ადგილები დაიკავეს. მესამე იყო ბაქოელი ტ. ფომინა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს ალმა-ათის წარმომადგენლებმა, II — კიევის, III — სოხუმის სპორტსმენებმა.

მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება მემორიალის მთავარ პრიზზე — მიხეილ ჩაჩბას სახელობის თასზე. მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ ერთი სავალდებულო ნახტომი სირთულის კოეფიციენტის გარეშე და სამი — ნებისმიერი. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის I ადგილი დაიკავა ე. ზავოდოვსკაიამ, II — ნ. დესიატნიჩენკომ (ორივე — ტაშკენტი), ხოლო III — თბილისელმა ს. ნიკიფოროვამ.

ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა შორის ყველას აჯობა ვ. სტრახოვმა, რომელმაც 192,79 ქულა დააგროვა. II ადგილი ხვდა უზბეკეთის წარმომადგენელ ვ. ბორისენკოვს, III — სოხუმელ ო. ნაპყებიას.

ძალიან საინტერესო იყო შეჯიბრება კოშკიდან ხტომაში. ქალებში ყველას აჯობა საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ე. ბოიარკინამ (სოხუმი), რომელმაც 165,18 ქულა დააგროვა. მან დაისაკუთრა მთავარი პრიზი ქალთა შორის. II ადგილზე გავიდა კიეველი სპორტის ოსტატი ლ. ტიტარენკო. III-IV ადგილები დაიკავეს თბილისელმა ლ. ფირალიშვილმა, რომელმაც თავისი შესაძლებლობა მთლიანად ვერ გამოავლინა და სოხუმელმა ნ. კალაშნიკოვამ.

მთავარი პრიზისთვის შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს ვაჟებმა. სპორტის ოსტატმა, საზოგადოება „მეხნატის“ (უზბეკეთი) წარმომადგენელმა ვ. სკანდელისმა 210,99 ქულა დააგროვა და თასიც დაისაკუთრა. II ადგილი დაიკავა ს. კოჩარიანმა, III — მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ო. ზაიცევმა.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. ალინუსხა 20 სპორტის ოსტატის შედეგი. პრიზიორებს გადაეცათ აფხაზეთის სპორტკომიტეტის ჯილდოები.

ვ. სემიონოვი,
შეჯიბრების მსაჯი, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი.
სოხუმი.

• • •

სურათზე: ე. ბოიარკინა და ვ. სკანდელისი.
ავტორის ფოტო.

სტუმრად კიროვაკანში

ამას წინათ ბათუმში სტუმრად იყვნენ კიროვაკანელი სპორტსმენები, რომლებსაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ „განთიადის“ წევრებთან. მერე ბათუმელები ეწვივნენ სომეხ მეგობრებს და ამხანაგური შეხვედრები გამართეს თავისუფალ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობაში, ხელბურთში.

შეჯიბრების დაწყების წინ ქართველმა და სომეხმა სპორტსმენებმა სამახსოვრო ვიმპელები და სამკერდე ნიშნები გადასცეს ერთმანეთს.

შემდეგ დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა. ანგარიშით 7:3 გაიმარჯვეს კიროვაკანელმა ფალავნებმა. მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა პატარა ჩოგნის ოსტატთა შეჯიბრებაც — 8:4. ალმავლობით ჩაატარეს შეხვედრა ბათუმელმა მოფარიკავეებმა და გაიმარჯვეს — 6:2. ასევე წარმატებით იასპარეზეს ხელბურთელმა ვაჟებმა და მოიგეს შეხვედრა — 14:6. მეორე დღეს მეგობრები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს მაგიდის ჩოგბურთსა და ხელბურთში. სპორტის ორივე სახეობაში წარმატება ბათუმელ სპორტსმენებს ხვდათ.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ბათუმელებმა დაათვალიერეს კიროვაკანის სპორტული ბაზები, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ო. მურვანიძე.

კიროვაკანი.
(სომხეთის სსრ).

თბილისი მასპინძლობს უძლიერეს წყალბურთელებს

დღეს თბილისსა და ალმა-ათაში დაიწყება სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის II წრის პირველი ტური. საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზი უმასპინძლებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალოსნო-სპორტული კლუბის გუნდს (მოსკოვი), კიევის, თბილისისა და ლვოვის დინამოელებს, ლენინგრადის „ბალტიკას“. დანარჩენი გუნდები — მოსკოვის უნივერსიტეტი და „დინამო“, ვოლგოგრადის „სპარტაკი“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი და ალმა-ათის „დინამო“ ალმა-ათაში იასპარეზებენ.

პირველი წრის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს მოსკოვის უნივერსიტეტი — 17 ქულა. მოსკოველ მეზღვაურებსა და დინამოელებს 13-13 ქულა აქვთ. თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები 7 ქულით VI ადგილზე არიან.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი მატჩები 1-დან 6 ნოემბრამდე გაიმართება მოსკოვში. 5 დღის შემდეგ სტარტს აიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშება. წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ უკვე მოაწყო წილისყრა. მეტოქეები ასე განლაგდნენ: 1. „დინამო“ (თბილისი), 2. „მეხნატი“ (ტაშკენტი), 3. „დინამო“ (მოსკოვი), 4. „ზახმეტი“ (აშხაბადი), 5. მოსკოვის უნივერსიტეტი, 6. რსფსრ-ს თასის გათამაშებაში გამარჯვებული, 7. „ვოდნიკი“ (ბათუმი), 8. გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის გუნდი, 9. „დინამო“ (ხარკოვი), 10. „დინამო“ (კიევი) 11. „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი), 12. „დინამო“ (ლვოვი), 13. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი, 14. „დინამო“ (ალმა-ათა), 15. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი, 16. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი). ის გუნდები, რომელთაც კენტი ნომრები შეხვდათ, საკუთარ აუზში ჩაატარებენ პირველ შეხვედრას. მაგალითად, თბილისის დინამოელები ეთამაშებიან ტაშკენტელ წყალბურთელებს, მოსკოვის „დინამო“ — აშხაბადის „ზახმეტს“ და ა. შ. მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 17, ნახევარფინალური — 29 ნოემბერს. ფინალური შეხვედრა მოეწყობა 1 დეკემბერს მოსკოვში.



ნოვოსიბირსკში პირველად გათამაშდა სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის მარშალ ა. პოკრიშკინის სახელობის პრიზი კარტინგებით რბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ციმბირისა და ურალის ქალაქების სპორტსმენები.

საპატიო ჯილდო მოიპოვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ნორჩ ტექნიკოსთა კლუბის კარტინგისტებმა. ამ გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, ინჟინერმა ა. სინეგუბოვმა ყველას აჯობა პირად შეჯიბრებაში 175 კბ სმ-მდე კლასის მანქანებით. 125 კბ სმ-მდე კლასის კარტინგებით პირველი იყო ერთ-ერთი ქარხნის ხარატი ა. პოროუსკი.

ჭაბუკებში პირველობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ნორჩ ტექნიკოსთა კლუბის აღსაზრდელები ა. ხომოჩკინი და ა. პიანკოვი.

სურათზე: კარტინგები დისტანციაზე.   ვ. ლეშჩინსკის ფოტო.

გადაეცა პრეზიდენტს

ვარნა, 1 ოქტომბერი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთლიანად იწონებს და მხარს უჭერს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარებას, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მისამართით გაგზავნილ მიმართვაში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა გადასცა სოკ-ის პრეზიდენტს ლორდ კილანინს.

ქალაქ მოსკოვის ხელისუფლებს, სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს და სსრ კავშირის ყველა სპორტულ ორგანიზაციას, — ნათქვამია მიმართვაში, — საჭირო დახმარება და მხარდაჭერა ექნებათ, რათა 1980 წლის ოლიმპიური თამაშები სოკ-ის წესებისა და დებულების შესაბამისად ჩატარდეს.

საკითხი გადაწყვეტილია

● **მინსკი,** 1 ოქტომბერი. კიეველი ნ. სტოლიაროვა კვლავ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. ამჯერად მან მოიგო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავწრიან სამიზნეებზე შეჯიბრება, როცა 567 ქულა დააგროვა. ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ა. ეგრიშინი. მან პნევმატური პისტოლეტით სროლაში 4 ქულით აჯობა მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონ გ. კოსიხს. გამარჯვებულმა 390 ქულა დააგროვა.

● **ტურინი,** 1 ოქტომბერი. ევროპის სასტენდო სროლის ოსტატთა ჩემპიონატში ადგილიდან სროლაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა კიეველმა სპორტსმენმა ქალმა ი. კლეკოვამ. მან 150-დან 139 სამიზნე დააზიანა. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა სპორტსმენები პირველობდნენ. ესენი არიან: კლეკოვა, მოსკოველები — ნ. უკოლოვა, ე. სენიჩევა. მათ დააზიანეს 261 სამიზნე (300-დან.)

● **ბაქო,** 1 ოქტომბერი. აქ მოეწყო მძლეოსანთა საერთაშორისო მემორიალი, რომელიც 26 კომისრის ხსოვნას ეძღვნებოდა. სარბიელზე გამოდიოდა სსრ კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ერაყის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის 800-ზე მეტი სპორტსმენი. სამხტომში პოლონელმა მ. იოხიმოვსკიმ აჩვენა 16,89 მ, ყაზანელი ვ. ბაბანოვა პირველი იყო 100 მეტრზე რბენაში — 11,6, ბაქოელმა ვ. ოტსტავნოვმა ამ მანძილის დაფარვას 10,4 წამი მოანდომა.

ახალი ამბები

ყველა — მშდ კომპლექსის ნიშნოსანი

ერთი სკოლის სპორტულ კოლექტივში

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

სკოლის შესასვლელში გაკრულია ცისფერი ტრანსპარანტი, რომელსაც მსხვილი, წითელი ასოებით აწერია: „კომკავშირელებო! პირველნი გამოდით მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად!" სკოლაში მისული სტუმარი მყისვე მიხვდება, რომ აქ სპორტს ფართო გზა აქვს გახსნილი. ამ აზრს სკოლის დერეფანში გაკრული მეორე პლაკატი გაგვიმტკიცებს. აი, რა წერია იქ: „სკოლის სპორტულ მოედანზე, ყოველდღე, 2-დან 6 საათამდე კომკავშირელების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ვარჯიში რბენაში, ხტომებსა და ტყორცნაში, ლერძზე მიზიდვასა და ბაგირზე ცოცვაში. ვინც ნორმატივი შარშან ჩააბარა, შეუძლია გაიუმჯობესოს სპორტული შედეგი, იბრძოლოს ოქროს სამკერდე ნიშნისთვის!"

ყოველივე ნათელია. ჩვენ სპორტული მოედნისკენ მივემართებით. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი შერმადინ ართმელაძე ყმაწვილებს სიმაღლეზე ხტომაში ავარჯიშებს.

— ჩვეულებრივი შეჯიბრების დროს ყველანი ეგრეთ წოდებული „მაკრატლას" ხერხით ხტებიან, — გვეუბნება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი. — ეს ყმაწვილები კი რობერტ შავლაყაძის სტილით, „მხედრულით" ხტომას სწავლობენ.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ყმაწვილების ხტომას, ვესაუბრებით მათ და ვიგებთ, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის თაოსნობით უკვე მეოთხე წელიწადია გახსნილია „სიმაღლეზე მხტომელთა სკოლა". აქ გაერთიანებულნი არიან ის მოსწავლეები, რომლებსაც სიმაღლეზე ხტომის კარგი მონაცემები აქვთ. შერმადინ ართმელაძე, რომელიც თვითონ სიმაღლეზე ხტომის ოსტატია და ახლა აჭარის სოფლის სპარტაკიადისთვის ემზადება, თავის ცოდნასა და გამოცდილებას გულმოდგინედ უზიარებს ყმაწვილებს.

„სიმაღლეზე— ხტომის სკოლაში" ვარჯიშს ბავშვები მესამე-მეოთხე კლასიდან იწყებენ. მესამე წელიწადია მეცადინეობს ხტომებში მეექვსეკლასელი ზურაბ ბერძენიშვილი. აი, ახლა იგი სახტომად ემზადება. გამორბენი, ჰაერში შემოტრიალება, ნახტომი და... 130 სანტიმეტრი გადალახულია! კარგი შედეგია — ოქროს სამკერდე ნიშნისთვის ნორმატივი ხომ მხოლოდ 115 სამტიმეტრს ითვალისწინებს. 125 სანტიმეტრზე გაჭიმულ თამასას მარდადახტება ზურაბის თანაკლასელი თემურ ცეცხლაძე. 20 სანტიმეტრით ალემატება ოქროს სამკერდე ნიშნის მოთხოვნას მეოთხეკლასელ ჯონი ოქროპირიძის ნახტომის შედეგი.

— კარგია! — ღიმილით ამბობს მეათეკლასელი გივი გაბისიანი, რომელიც „სიმაღლეზე ხტომის სკოლის" ვეტერანად ითვლება და 160 სანტიმეტრზე ხტება. როცა მოედანზე შერმადინ მასწავლებელი არ არის, ბიჭებს გივი ავარჯიშებს. შერმადინ მასწავლებელს კი ბევრი საქმე აქვს. აი მოსწავლე მხაჯები რბენის ტრასაზე თარჯებს აწყობენ. დღეს მხოლოდ ვარჯიშია, მაგრამ ყველა დიდი პასუხისმგებლობით ემზადება სარბენად. 60-მეტრიან დისტანციას ყველა მეცხრეკლასელი და მერვეკლასელი შეუფერხებლად სძლევს. ეს კი, რასაკვირველია, გულმოდგინე, სისტემატური ვარჯიშისა და დაძაბული, შეუპოვარი მეცადინეობის შედეგია, რაც პატარაობიდანვე იწყება. 8-კილომეტრიან ტურისტულ ლაშქრობაში შარშან ყველა მეოთხეკლასელმა მიიღო მონაწილეობა. მათ არაერთი ბუნებრივი დაბრკოლება დასძლიეს. წლეულს მარშრუტი გაგრძელდება, პირობებიც გართულდება და ამ ახე, თანდათანობით იხწავლიან ყმაწვილები დაბრკოლებათა გადალახვას.

ჩვენ მეექვსეკლასელთა ცურვას დავესწარით. ჯემალ სტამბოლიშვილმა 50 მეტრის გაცურვას 1 წუთისა და 20 წამის ნაცვლად 1.01 წუთი მოანდომა, ხოლო სერგო ხაბეიშვილმა — 0,04 წამით მეტი. ეს კარგი შედეგია, მაგრამ აი, სტარტზე არიან ავთანდილ დავრიშიძე, თენგიზ ხახუტაიშვილი და ჯემალ რომანიძე. შერმადინ მასწავლებელი იღიმება და ნიშანს აძლევს. ჩვენ მხოლოდ მაშინ მივხვდით პედაგოგის ღიმილის მნიშვნელობას, როცა გაოცებული სახით შევხედეთ წამმზომს—ბიჭებს მხოლოდ 0,8 წუთი დასჭირდათ ფინიშთან მისასვლელად. ეს კი სკოლის რეკორდია და თანაც ამ ასაკისთვის საუკეთესო შედეგი. ბიჭები ვარჯიშს განაგრძობენ და შესაძლოა, წლეულს ან გაისად აჭარის ნაკრები გუნდის წევრებიც კი გახდნენ. სკოლას კი უკვე ჰყავს ასეთი მოსწავლეები. ერთ-ერთი მათ შორის, მანანა კახიძე, აჭარის ჩემპიონიც კია 400 მეტრზე რბენაში.

შემოდგომის მზიან დღეებში პარკში მასობრივი კროსი მოეწყო. გოგონებს შორის ფინიშთან პირველნი მივიდნენ დარეჯან დავრიშიძე და ნანა გაგნიძე; ყმაწვილებს შორის 1000-მეტრიანი დისტანცია პირველებმა ჯონი ოქროპირიძემ და თემურ მორჩაძემ დასძლიეს. პიონერთა რაზმების საკავშირო რადიოსაზისთვის — 2 ოქტომბერს — 145 პიონერიდან 120 პიონერს ჩაბარებული ჰქონდა მშდ ახალი სპორტული კომპლექსის ყველა ნორმატივი.

21 ოქტომბერს ქობულეთის მე-8 საშუალო სკოლაში დიდი სპორტული ზეიმი იქნება. იმ დღეს მიწვეული სტუმრები — აჭარის ჩემპიონები და რეკორდსმენები კომკავშირელებსა და პიონერებს საზეიმოდ გადასცემენ იმ პატარა ნიშნებს, რომლებსაც აწერია: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

შ. ბახტაძე,
გაზეთ „ნორჩი ლენინელის"
მასუხისმგებელი მდივანი.

რაიონებში [illegible]

ზესტაფონი

ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ზესტაფონის „სპარტაკის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში. წარმატება მოიპოვა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და პირველობაც არავის დაუთმო.

ა. განუგრავა.

ბათუმი

• აქ დამთავრდა საქართველოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა ზონალური სპარტაკიადა (აჭარის ზონა), რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ცურვა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების სპორტსმენებმა.

ო. მურვანიძე.

მიზანი: მსოფლიო ჩემპიონობა

„ლელო" ინტერვიუ

გვესაუბრებიან მსოფლიო რეკორდსმენი და მისი მწვრთნელი

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ იტალიის ქალაქ ტურინში ჩატარდა ევროპის მესტენდურეთა ჩემპიონატი, სადაც ყველას აჯობა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ტარიელ ჟღენტმა. ახლა ჩვენი კორესპონდენტი ო. გელაშვილი „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოში შეხვდა ტ. ჟღენტსა და მის მწვრთნელს ზ. მაჩხანელს, რედაქციის კოლექტივის, საქართველოს სპორტის მოყვარულთა სახელით ორივეს მიულოცა გამარჯვება და ჩემპიონს სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● **რამ განაპირობა ტურინში თქვენი ესოდენ დიდი წარმატება?**

— იტალიაში თითქოს ბედი მწყალობს. შარშანწინ ბოლონიაში მსოფლიო პირველობის გუნდურ ჩათვლაში გავიმარჯვე მოსკოველ ევგენი პეტროვთან, სვერდლოვსკელებთან იური ცურანოვთან და გენადი სედინკინთან ერთად. წლეულს ტურინში ორი ოქროს მედალი მოვიპოვე: გუნდურ ჩათვლაში პირველობა გვხვდა მე, პეტროვს, ცურანოვს და ფრუნზელ ვლადიმერ ანდრეევს. მერე კი პირად შეჯიბრებაში გავიმარჯვე. ეს წარმატება განაპირობა გეგმაზომიერმა, დაუღალავმა ვარჯიშმა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩემს მწვრთნელს ზურაბ მაჩხანელს.

● **ვინ იყვნენ თქვენი მთავარი მეტოქენი?**

— კონტინენტის ჩემპიონატში ოცი ქვეყნის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველა მათგანი მთავარი მეტოქე იყო—იტალიაში ისინი მედლებისთვის საბრძოლველად ჩამოვიდნენ. მაგრამ ფავორიტებად მაინც სულ რამდენიმე კაცი მიაჩნდათ: მსოფლიო ჩემპიონი ცურანოვი, ოლიმპიური ჩემპიონები პეტროვი და დასავლეთგერმანელი ვირკნერი, ევროპის ექსჩემპიონი პოლონელი გავლიკოვსკი. მართლაც, თავიდან ბევრს ჰქონდა გამარჯვების იმედი, მაგრამ ფინიშამდე ეს შანსი მხოლოდ მე შევინარჩუნე.

● **როგორი იყო ასპარეზობის ფორმულა, როგორ წარიმართა ბრძოლა?**

— თითოეულ ქვეყანას გუნდურ ტურნირში ოთხი მესტენდურე გამოჰყავდა. ჩემპიონი გახდებოდა ის კოლექტივი, რომელიც 600 სამიზნეზე სროლაში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებდა. მაგრამ ბრძოლა ამით არ მთავრდებოდა: საუკეთესოებს მესამე დღეს კიდევ 50-50 სამიზნეზე უნდა ესროლათ პირად ჩათვლაში გამარჯვების ბედის გადასაწყვეტად.

პირველ დღეს სამივე სერია უშეცდომოდ გავიარე: სამოცდათხუთმეტივე სამიზნე გავტეხე. ვალში არც გავლიკოვსკი დარჩა. ცურანოვმა პირველივე სერიაში ერთ სამიზნეს ააცდინა, ანდრეევმა — ორს. შესანიშნავად ისროდა სპორტული სამყაროსთვის მანამდე უცნობი ახალგაზრდა დანიელი რასმუსენი. დღის ბოლოს გარკვევით რაიმეს თქმა ძნელი იყო — რამდენიმე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი ჰქონდა.

მეორე დღეს მე და გავლიკოვსკიმ ისევ ყველას ვაჯობეთ: ისევ 75-75 სამიზნე გავტეხეთ და ორი დღის ჯამში გუნდებს 150-150 ქულა მოვუტანეთ. რასმუსენი ჩვენთან ქულას აგებდა, კიდევ ოთხი მესტენდურე — 2-2 ქულას. პეტროვმა 147 ქულა მოაგროვა, ცურანოვმა და ანდრეევმა — 146-146. გუნდური შედეგები რომ შეჯამდა, საბჭოთა ნაკრებს 600-დან 589 ქულა აღმოაჩნდა. ეს მსოფლიო რეკორდია. ჩვენი კვარტეტი კონტინენტის ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედლები პოლონელებმა მიიღეს — 581, ბრინჯაოს ჯილდო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს დარჩა — 576.

რაც შეეხება პირად პირველობას, აქ გადამწყვეტი შეჯიბრება მესამე დღეს გაიმართა. მე და გავლიკოვსკის ჩემპიონობისთვის ბრძოლის თანაბარი შანსი გვქონდა. მეტოქეები ცეცხლის ხაზზე ჩემზე ადრე გადიოდნენ და ეს საშუალებას მაძლევდა მათი შედეგები გამეთვალისწინებინა. პოლონელს, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა. ფინალის პირველივე სერიაში მან სამიზნეს ააცდინა, ბოლო 25 გასროლაში კი კიდევ 2 ქულა დაკარგა. სამიში მეტოქე ჩამომშორდა. სამაგიეროდ, ახლა რასმუსენმა იყოჩაღა. მისი ბოლო სერიის დროს ოთახში ვიყავი — სტარტზე გამოსასვლელად ვემზადებოდი. იქ მომესმა მაყურებლის ყიჟინა და ტაში. გავიხედე — დანიელს წარმატებას ულოცავდნენ. მან 200-დან 199 ქულა მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ცოტა არ იყოს შევფიქრიანდი. ბოლო 25 გასროლაში ერთი გასროლაც რომ ამეცდინა სამიზნისთვის, რასმუსენთან დამატებითი სერიის ჩატარება მომიხდებოდა. მაგრამ ტურინში ჩასვლის პირველივე დღიდან რატომღაც მჯეროდა, რომ შინ ჩემპიონი დავბრუნდებოდი. ალბათ ამიტომ ახლაც აუღელვებლად, უშეცდომოდ ვისროლე და ორასიდან ორასი ქულა დავაგროვე, პირადი პირველობაც მოვიგე და მსოფლიო რეკორდსმენიც გავხდი.

● **როგორ მოხდა, რომ მსოფლიო რეკორდსმენად მხოლოდ თქვენ ითვლებით, პეტროვსა და ცურანოვსაც ხომ აქვთ 200-200 ქულა მოპოვებული 1970-1971 წლებში?**

— სწორია. მსოფლიო რეკორდები პეტროვსა და ცურანოვს ეკუთვნოდათ. ეს ზღვარი იყო. ალბათ ამიტომ მოხდა, რომ სროლის საერთაშორისო ფედერაციამ მრგვალ სტენდზე სროლის წესებში ცვლილება შეიტანა: გაიზარდა სამიზნეთა მიწოდების სისწრაფე, შეიცვალა ვარჯიშის შესრულების პროცესი. ამრიგად, ძველი რეკორდები ისტორიის საკუთრება გახდა. წესებში ცვლილების შეტანის ამბავი ჩვენ მხოლოდ ტურინში გამგზავრების წინ შევიტყვეთ.

● **მაშასადამე, დღეს ერთადერთი მსოფლიოს რეკორსდმენი თქვენ ხართ, მაგრამ თქვენც ხომ აბსოლუტური რეკორდი დაამყარეთ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ საერთაშორისო ფედერაციამ წესებში რაიმე ახალი ცვლილება უნდა შეიტანოს?**

— ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ჩემს რეკორდს ვინმე გაიმეორებდეს, წესების შეცვლა საჭირო არ არის. ეს შესაძლოა ნოემბერში მსოფლიო პირველობის დროს მოხდეს. მერე კი ვნახოთ.

● **ზურაბ, თუ შეიძლება ახლა თქვენ გვიპასუხეთ რამდენიმე შეკითხვაზე. პირველ ყოვლისა გვაინტერესებს რა მიზეზით არ გამოვიდა ტარიელი მიუნხენის ოლიმპიადის სარბიელზე?**

— ტარიელიც და ანდრეევიც ოლიმპიური გუნდის ღირსეული კანდიდატები იყვნენ, მაგრამ მესტენდურეთა საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა პოკროვსკიმ საგზურები მაინც პეტროვსა და ცურანოვს მისცა — უფრო გამოცდილი სპორტსმენები არიანო. მაშინ ვფიქრობდით, რომ პოკროვსკი მართალი იყო, მაგრამ ოლიმპიადამ სულ სხვა რამ დაგვანახვა. ჟღენტს სროლის შესანიშნავი ტექნიკა აქვს. წლეულს მან საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ძირითადი შეჯიბრება — დუბლეტზე სროლა და კომპლექსური ჩათვლა მოიგო, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ყველა მეტოქე დაამარცხა, ტურინში კი ვარჯიშის დროს ექვს სერიაში მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა. ერთი სიტყვით, ტარიელი საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო და შედეგმაც არ დააყოვნა. მე მჯერა, ხელცარიელი იგი არც მელბურნიდან დაბრუნდება. მსოფლიოს ჩემპიონატიდანაც ოქროს მედალს ჩამოიტანს.

● **ეს ჩემპიონატი როდისლა ტარდება?**

— ნოემბერში. იქ გამარჯვება, რა თქმა უნდა, უფრო ძნელი იქნება. მელბურნში ამერიკის, ავსტრალიის, აფრიკისა და აზიის საუკეთესო მესტენდურეებიც გამოვლენ სარბიელზე.

● **ტარიელ, როგორ გამოვიდნენ ტურინში სხვა საბჭოთა სპორტსმენები?**

— ანდრეევმა 196 ქულა მიიღო და VI ადგილი დაიკავა, ცურანოვი მეთერთმეტე იყო 195 ქულით, პეტროვს კი 194 ქულა და XV ადგილი ხვდა. სამაგიეროდ, გაგვახარა ჩემმა თანაგუნდელმა, ასევე მაჩხანელის მოწაფემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 19 წლის თამაზ იმნაიშვილმა, რომელიც იტალიაში იუნიორთა შეჯიბრებაში გამოდიოდა. იუნიორებს 150 სამიზნე ეძლეოდათ. თამაზმა 146 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. დასავლეთგერმანელ კოხს იგი მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა. იმნაიშვილი ნიჭიერი მესტენდურეა და გაისად საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებში დაიკავებს ადგილს.

● **როგორ მოგეწონათ ტურინი, იტალიელი გულშემატკივრები?**

— ტურინი ლამაზი ქალაქია, ოღონდ ნისლი იცის. თითქმის ყოველდღე მზის ამოსვლამდე გარემო ნისლში იყო გახვეული. ქალაქიდან კარგად ჩანს ალპები. რაც შეეხება მაყურებელს, მეტად ობიექტურია. ტურინში ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ სამი დღით ადრე ჩავედით, მაგრამ მაინც ბევრის ნახვა მოვასწარით.

● **როგორია თქვენი უახლოესი და სამერმისო გეგმები?**

— მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, ახლა მსოფლიოში უძლიერესის სახელზე ვოცნებობ. ვიცი, ავსტრალიის სტენდზე ძნელი გამოცდა მელის, მაგრამ გამარჯვება რაც უფრო ძნელია, მით უფრო სასიამოვნოა. ესაა ჩემი უახლოესი ამოცანა. გაისად ალბათ დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ მთავარი მაინც საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაა. საქართველოს გუნდმა ამ კომპლექსურ შეჯიბრებაში მრგვალ სტენდზე აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაიკავოს. ჩვენ გვაქვს საამისო ძალა, მაგრამ თუ თბილისში „ლოკომოტივის" სტენდის აგების საკითხი დროულად არ გადაწყდა, არაფერი გამოვა. სტენდის პროექტი და მუშა-ნახაზები კარგა ხანია მზადაა, ბაზის ასაგებად ტერიტორიაც გამოყოფილია, მხოლოდ სახსრების კოოპერირების საკითხი ვერ მოგვარდა დღემდე.

• • •

სურათზე: ტ. ჟღენტი (მარჯვნივ) და მისი მწვრთნელი ზ. მაჩხანელი მომავლის გეგმებზე საუბრობენ.

ო. გელაშვილის ფოტო.

„ქველმოქმედება" ზედა მესხეთში

წერილმა გზაზე გვიხმო...

თაოსნობა და... გულგრილობა ▮ თვალს რატომ იხვევდნენ?

წყალტუბოს რაიონის სოფელ ზედა მესხეთიდან შემოსული წერილი რომ წავიკითხეთ, თავდაპირველად ფაქტები გაზვიადებული გვეგონა. ავტორის ქველმოქმედება ძნელი დასაჯერებელი იყო. უბრალოდ, დაუჯერებლად მივიჩნიეთ, რომ ერთ ჭაბუკს ამდენი შეეძლო.

— დიდი ენთუზიასტია, კარგად ვიცნობთ ამ ახალგაზრდას. რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებშიც შევიდა ანალოგიური წერილები. ყველაფერი სინამდვილეა, რასაც მურთაზ შალამბერიძე წერს, — გვითხრეს სპორტკომიტეტში და კომკავშირის რაიკომში.

ეჭვები უმალვე გაიფანტა. ისღა დაგვრჩენოდა, საკუთარი თვალით გვეხილა მურთაზ შალამბერიძის ნაშრომ-ნაამაგარი, დაწვრილებით შეგვესწავლა მთელი ეს არაჩვეულებრივი ისტორია.

ზოგჯერ ფაქტები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს. მომხვეჭელობის სურვილს აყოლილი მავანი და მავანი ახლო წარსულში „პირადი ინიციატივითა" და ბიუჯეტით აგებდა დუქნებს და ფარდულებს, საკუთარ სახლში ხსნიდა სახაშეს, მერე ამ ვაი-თაოსნებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და იმასღა შესთხოვდნენ ცასა და ქვეყანას, გაწეული ხარჯები მაინც აგვინაზღაურეთო. ასეთი „ქველმოქმედების" მიზანი მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვა იყო. მაგრამ რა ინტერესი უნდა ამოძრავებდეს კაცს, რომელმაც საკუთარი ენერგია და სახსრები არ დაზოგა სოფლის სტადიონის მოსაწყობად?

კოლმეურნეობის თავკაცები შეშფოთებული შემოგვეგებნენ. რამდენიმე საათის წინ კოლმეურნეობაში რაიონული ცენტრიდან დარეკეს და ჩვენი ჩასვლის ამბავი შეატყობინეს. სანამ ჩავიდოდით, ყველაფერი აუწონ-დაუწონიათ და უმალვე მომჩივანის სასარგებლოდ წინდაწინ მოფიქრებული პასუხი შემოგვთავაზეს.

რამ ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში სოფლის თავკაცები? ამ რამდენიმე წლის წინ კოლმეურნეობის გამგეობამ სპორტული ბაზის მოსაწყობად ადგილი გამოყო. შემოღობეს კიდეც. ეს იყო და ეს. „კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ახალგაზრდების სახელით სტადიონის მოწყობაში დახმარება ვთხოვე. უარი არ უთქვამს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. მერე იძულებული გავხდი, საქმისთვის ხელი თავად მომეკიდა". — ამბობს მურთაზი.

ენთუზიაზმი რომ ადამიანის ჩინებული თვისებაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საქმეს სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება, მაგრამ დაგვეთანხმებით, ენთუზიაზმსაც აქვს თავისი ჩარჩოები. იგი მოსაწონი და გამართლებული, რა თქმა უნდა, მაშინაა, როცა უანგაროა. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მურთაზ შალამბერიძე რაიმე გამორჩენას მოელოდა. პირიქით. მას მხოლოდ სპორტის ფანატიკურმა სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. გაწეული შრომისა და სახსრების ანაზღაურება მას შემდეგ მოითხოვა, როცა ამდენი გარჯის შემდეგაც ვერ მიიღო დახმარება კოლმეურნეობისგან.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ამხელა სოფელში ვერავინ ხედავდა, სტადიონი დღითი დღე რომ მშვენდებოდა. არავინ დაინტერესებულა, საზოგადოებრივი საქმისთვის რომელმა „უჩინმაჩინმა" გაიღო ამდენი მოწყალება. ის კი არა, დღემდე სოფლის თავკაცები არც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობით დაინტერესებულან. ფიზკულტურის კოლექტივი აქ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ვიტყვით, რომ დღემდე არც ერთი კოლმეურნე არაა ჩაბმული მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მზადებაში. სამაგიეროდ, ამ კოლმეურნეობაში ფიზკულტურელთა აღრიცხვის ახალი „ორიგინალური მეთოდი" შემოუღიათ: ვინც ველოსიპედზე დაუნახავთ, ვისაც თოფი ხელში აუღია, ფრენბურთი ანუ, როგორც აქ ამბობენ, „ბალიბოლი" უთამაშია, ვინც ერთმანეთისგან ჭადრაკისა და შაშის გარჩევა იცის, ყველა ფიზკულტურის კოლექტივის წლიური ანგარიშის ფორმა № 1-შია შეტანილი ველოსიპედისტად, ფრენბურთელად, მძლეოსნად, ტყვიის მსროლელად, ჭადრაკისა და შაშის მოთამაშედ. თანაც საბუთებში წერია, რომ თითოეულ სახეობაში 50 მეცადინეობა მაინცაა ჩატარებული. სიყალბესა და მიწერაში თავის გამოჩენის სურვილით იმდენად ყოფილან გატაცებული, რომ ამ დოკუმენტში არარსებული ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებიც კი შეუტანიათ. ამ სამარცხვინო საბუთს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელმოწერა და გამგეობის ბეჭედიც კი ამშვენებს. ფაქტი ჯიუტია. ასე თუ ისე, რეგულარულად მხოლოდ ფეხბურთელთა სექცია ვარჯიშობს და ბიჭები სარაიონო პირველობებშიც მონაწილეობენ. გუნდს თავად მ. შალამბერიძე უდგას სათავეში.

...მურთაზ შალამბერიძე დიდ საქმეს შეეჭიდა: მოასწორა ფეხბურთის მინდორი, მოაწყო მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, დადგა 15 გრძელი სკამი, ააგო გასახდელი, დადგა ფეხბურთის კარი და ალმის ანძა. არც ხმამაღლა მოლაპარაკე და მაგნიტოფონი გამორჩენია მხედველობიდან. მასპინძლების თანდასწრებით მურთაზმა გვითხრა, ნაღდ ანგარიშზე სად და როგორ შეიძინა სამშენებლო მასალები, ვისი მანქანითა და ბულდოზერით ისარგებლა, როგორ იშოვა მაგნიტოფონი და ხმამაღლა მოლაპარაკე.

საქმე საქმეზე რომ მიდგა, სოფლის თავკაცები შეშფოთებით აცხადებენ: მზად ვართ საზღაური გადავიხადოთო. ამას შალამბერიძის საამებლად როდი ამბობენ. მიხვდნენ, რომ ეს თავის დახსნის გზაა.

ახლა მედლის მეორე მხარის შესახებ. იმ ახალგაზრდებიდან, რომლებსაც მურთაზ შალამბერიძე ექომაგება (ისინი ძირითადად ფეხბურთის მოყვარულები არიან), ყველაზე აქტიურ კოლმეურნეს სულ რამდენიმე შრომადღეც არა აქვს გამომუშავებული. იქნებ ვინმე შემოგვედავოს: სპორტული ბაზა სოფლისთვის საჭიროა, საკითხს ასე რატომ სვამთო. ჭეშმარიტი ბრძანებაა. მაგრამ ისიც ხომ დამაფიქრებელია, რომ „ფუფუნება" (ისინი სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენასაც მოითხოვენ) ამ ახალგაზრდებს სოფლის მშრომელი ხალხის ნაოფლარით სურთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ ავიწყდება თავისი მოვალეობა, მაგრამ სამართლიანად აცხადებს: ცოტა თქვენც იმუშავეთ, სოფლის სიკეთით სარგებლობა მერე მოგვთხოვეთო. ვერაფერს იტყვი. სოფლის სიკეთით სარგებლობას დამსახურება უნდა. ამისთვის საკოლმეურნეო შრომაში საკუთარი წვლილის შეტანა ერთადერთი სწორი გზაა. მით უმეტეს, რომ ზედა მესხეთის კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა შორისაა და საქმის წამოწევისთვის ახალგაზრდების ენერგიული შრომაა საჭირო.

კოლმეურნეობის გამგეობაში გვიან საღამომდე გაგვიგრძელდა საუბარი. დასკვნა ერთი იყო: საკოლმეურნეო შრომაში ახალგაზრდების ჩაბმა და მათი გართობა-დასვენებისთვის ზრუნვა აუცილებელი და გადაუდებელი მოთხოვნაა. ამაზე დღემდეც უნდა ეფიქრა კოლმეურნეობის გამგეობას.

თ. გაჩეჩილაძე,
ზ. ხორავა.
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები).

ზედა მესხეთი,
წყალტუბოს რაიონი.

სსრ კავშირის პირველობა

1973

კვლავ ლიდერთა შორის

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:0 (0:0).

„ტორპედო": ზერიძე, აბზიანიძე, წვერავა, ქუთათელაძე (ბერულავა), ჭოხონელიძე, ქვირია, ჩახუნაშვილი (ჭოლაძე), ფარულავა, ფესტვენიძე, შელია, გაბიჩვაძე (გაგუა).

„კუზბასი": რუსანოვი, ტიმოფეევი, სკვორცოვი, ზახარჩენკო, ბელოვი, პაშკოვსკი, რიაზინი, ვლ. რაზდაევი, ვიტ. რაზდაევი, სობოლევი (სიჩკარუკი), კოლტუნოვი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

სულ სამიოდე ტურის წინ ქუთაისის ტორპედოელებმა საუცხოოდ ჩაატარეს ძნელი, საპასუხისმგებლო მატჩების სერია და მჭიდროდ დაუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს. შემდეგ გუნდმა ორი დასანანი მარცხი იგემა (ერთი — დამატებითი პენალტებით, ხოლო მეორე — 86-ე წუთზე გაშვებული ბურთით) და აი, ახლა ზედიზედ მეორე მოგებული მატჩის შემდეგ იგი ისევ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელია.

„კუზბასთან" მოგებულ შეხვედრაში კვლავ გვინდა გავუსვათ ხაზი „ტორპედოს" ახალგაზრდა ფეხბურთელთა მონდომებას, ენერგიას და კოლექტივისთვის თავგანწირვას. ახალგაზრდობა გუნდს ყოველ რგოლში ჰყავს და მათს მაღალკვალიფიციურ თამაშს კარგი შედეგი მოაქვს დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. ქუთათელაძე, ბერულავა, ქვირია, ჩახუნაშვილი, ფარულავა, ფესტვენიძე, შელია, გაბიჩვაძე, გაგუა და მათთან ერთად „ტორპედოს" უკვე გამოცდილი ფეხბურთელებიც, იბრძოდნენ ისე, რომ სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. თუ „კუზბასი" შესვენებაზე წავიდა ისე, რომ გოლი არ გაუშვია, ეს მისი დაცვისა და, უპირველეს ყოვლისა, მეკარე რუსანოვის დიდი დამსახურებაა.

კემეროველებმა მატჩის დასაწყისიდანვე დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება და ტაიმი ისე გავიდა, ქუთაისელთა მეკარე ზერიძეს სამუშაო არ ჰქონია. თამაში მიმდინარეობდა ქუთაისელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობით. წვერავას, ფარულავას, ქვირიას, შელიას შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ან რუსანოვი იღებდა ძნელ ბურთებს, ან გადამწყვეტი დარტყმები არ იყო ზუსტი.

ტორპედოელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა შესვენების შემდეგ. „კუზბასის" კართან ზედიზედ შეიქმნა სახიფათო მომენტები და ერთ-ერთი მათგანი 50-ე წუთზე დამთავრდა ფარულავას მიერ საჯარიმო მოედნის ხაზიდან ზუსტი დარტყმით — 1:0.

გასული იყო მხოლოდ 1 წუთი, იმავე ფარულავამ კვლავ შორი დისტანციიდან დაარტყა და რუსანოვი იძულებული შეიქნა მეორედ გამოეტანა ბურთი ბადიდან — 2:0.

დარჩენილ დროში ტორპედოელები თამაშობდნენ მოფიქრებული კომბინაციებით, აქტიურად. კემეროველთა კართან კვლავ მრავლად იქმნებოდა კრიტიკული მომენტები, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცათ ფესტვენიძეს, გაბიჩვაძეს, შელიას და სხვებს.

ტორპედოელთა გამუდმებული იერიშები შეწყვიტა მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენმა. ჩვენი გუნდი ამ გამარჯვებით კვლავ მიუახლოვდა ლიდერებს.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

სურათზე: ტორპედოელები მორიგ შეტევაზე არიან. „კუზბასის" მეკარე ვ. რუსანოვი იგერიებს მ. ფარულავას და რ. ფესტვენიძის (თეთრ მაისურებში) იერიშს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

I ლიგა

1 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს ამ მატჩების შედეგები:

„ნისტრუ" (კიშინიოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:4 (პენალტებით, ძირითადი დრო — 0:0), „ნეფთჩი" (ბაქო) — „შინიკი" (იაროსლავლი) 6:5 (პენალტებით, ძირითადი დრო — 1:1), „ალგა" (ფრუნზე) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 4:2 (პენალტებით, ძირითადი დრო — 0:0), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 1:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.		ქ.
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	33	22	2	9	82—51	(63—29)	46
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	32	21	2	9	88—45	(71—31)	44
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	32	17	6	9	77—58	(39—28)	40
„ნეფთჩი" (ბაქო)	32	17	4	11	90—70	(54—32)	38
„ტორპედო" (ქუთაისი)	32	15	2	15	56—56	(36—37)	32
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	32	13	5	14	86—78	(35—30)	31
„შინიკი" (იაროსლავლი)	32	14	2	16	68—65	(40—31)	30
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	32	13	4	15	66—66	(38—39)	30
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	32	11	6	15	89—81	(47—43)	28
„ზვეზდა" (პერმი)	32	12	3	17	67—66	(42—39)	27
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	32	11	4	17	56—67	(26—37)	26
„სტროიტელი" (აშხაბადი)	32	11	3	18	58—68	(38—49)	25
„სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი)	33	10	5	18	68—82	(34—51)	25
„პამირი" (დუშანბე)	32	11	2	19	63—64	(42—39)	24
„კუზბასი" (კემეროვო)	33	11	2	20	73—87	(34—40)	24
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	32	10	4	18	67—74	(31—38)	24
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	31	9	6	16	68—78	(33—49)	24
„მეტალისტი" (ხარკოვი)	33	9	5	19	72—85	(30—45)	23
„შახტიორი" (ყარაგანდა)	31	9	4	18	62—79	(32—49)	22
„ალგა" (ფრუნზე)	32	3	1	28	51—87	(20—48)	7

ბიბლიოთეკა

[illegible]

ჯიმ რაიანი

„მიუნხენის რეკორტანზე დაიმსხვრა ჩემი იმედები და ოცნებები. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებამდე სამი წლით ადრე ინტენსიური სპორტი მივატოვე, აღარც კი ვოცნებობდი ოლიმპიურ მედალზე, მაგრამ ცხოვრების პირობებმა მაიძულა სარბიელზე დაბრუნება. ვერავინ წარმოიდგენს, რად მიღირდა კვლავ გამოსვლა უმაღლეს დონეზე, როგორ განიცდიდა ამას ჩემი ოჯახი და რა იმედებს ვამყარებდით. ახლა კი რა გამოვიდა, ყველაფერი გათავდა! ფინანსურად ხელმოკლედ ვარ და ამიტომ, ნურავის გაუკვირდება, რომ სამოყვარულო სპორტი მივატოვე...“

სევდიანი ახალგაზრდა

ორი წლის განმავლობაში (1966-67 წლები) ებრძოდა ჯიმ რაიანი მძლეოსნობის მეფის ტიტულისთვის როლანდ კლარკს. ორჯერ მოიპოვა კიდეც პირველობა. მაღალი, შავთმიანი სტუდენტი ქალაქ კანზასიდან (მისურის შტატი, აშშ) მუდამ გულჩათხრობილი, ვერც წარმატებით გამოწვეულ სიხარულს შეატყობდით, ვერც მარცხის გამო წყენას. მაშინაც კი, როცა მსოფლიოს სპორტულ პრესას ცამდე აჰყავდა, რაიანი არ გაყოყოჩებულა. ამის მიზეზი, ძალიან პატარა და შეიძლება პირობითიც კი, ალბათ ისიც იყო, რომ რაიანს საერთოდ ცუდად ესმოდა და მასთან მოსაუბრეს ლამის ყვირილით უნდა ელაპარაკა. ჯიმი მუდამ ერიდებოდა პოპულარობას, მოკრძალებული, მარტოდმარტო ტოვებდა სტადიონს, უკანა კარიდან გადიოდა.

სწორედ რაიანი გახლდათ ის მძლეოსანი, რომელმაც ბიმონამდე რამდენიმე წლით ადრე სცადა გზა გაეხსნა ბუნდოვანი მეცნიერებისკენ — სად შეიძლება იყოს ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი. მან პრაქტიკულად განახორციელა რბენის მაღალი ნორმების ახალი ციკლის დანერგვა საშუალო დისტანციებზე და მსოფლიო რეკორდების ცხრილში (იგულისხმება მილები) დღესაც ბრწყინავს რაიანის სახელი. მის წინააღმდეგ გამოდიოდა შესანიშნავ მორბენალთა დიდი ჯგუფი კეინოს მეთაურობით, მაგრამ ჯიმის ნაჩვენები წუთები და წამები მათთვის მუდამ მიუწვდომელი რჩებოდა. შედეგები — 3.33,1 1500 მეტრზე და 3.51,1 ერთ მილზე — ის მკვახე ყურძენია, რომელიც ძალიან მაღლაა და დღემდე მიუწვდომელია „მელა-მორბენლებისთვის“.

არავინ უწყის, თვით რაიანმაც არ იცოდა, სად იყო მისი შესაძლებლობების ზღვარი. იგი ძალიან მაღლა ავიდა და მით უფრო საგრძნობი, მტკივნეული იყო მისი დაცემა. წავიდა სპორტიდან სრულიად იმედგაცრუებული, ფსიქიურად გამოფიტული. ბედის ულმობლობამ გატეხა იგი და ფარ-ხმალი დააყრევინა. რაიანისთვის ყველაზე მეტად საწყენი იყო სწორედ ის ოპოზიცია, რომელშიც იგი პირველი წაფორხილების შემდეგ აღმოჩნდა. ამ ოპოზიციის თაოსანი და უშუალო წამომწყები გახლდათ ამერიკის საზოგადოებრიობა, ის საზოგადოებრიობა, რომელშიც ჯიმი აღიზარდა და დიდების დროებითი გვირგვინი დაიდგა. იმავე ამერიკული საზოგადოებრიობისთვის რაიანი დღეს უკვე მხოლოდ „იყო და არა იყო რაა“...

რაიანის წარუმატებლობა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში (რომელზეც ვიმეორებთ, ჯიმი დიდ იმედებს ამყარებდა) უდიდესი ტრაგედია იყო არა მარტო თვით რაიანის, არამედ, საერთოდ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

სევდიანი ახალგაზრდა — ჯიმ რაიანი, რომელმაც მსოფლიო სპორტის განვითარებას 10 წლით გაუსწრო, თითქოს არც კი შეეფერებოდა დღევანდელ სამყაროს. მას შეეძლო გაკვალებით მეტისთვის მიეღწია, მაგრამ...

ოლიმპიური მოძრაობის აწმყო და მომავალი

1 ოქტომბერს ვარნაში მიმდინარე X ოლიმპიურ კონგრესზე პირველი თემის (თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობა და მისი განვითარების პერსპექტივები) ირგვლივ დისკუსია გახსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა.

პირველ დღეს გამოსულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აუცილებელია სოკ-ის რეფორმირება და დემოკრატიზება.

სპორტი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ რჩეულთა ხვედრი და გასართობი იყო, დღეს კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. ამიტომ, — განაცხადა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გაერთიანების თავმჯდომარემ ტ. კელერმა (შვეიცარია),—სპორტს თანამედროვე საზოგადოებაში უდიდესი ასპარეზი აქვს გადაშლილი. კელერის აზრით, წარმატების მთავარი საწინდარია საერთაშორისო სპორტული ფედერაციების როლის ზრდა, მათთვის მეტი უფლების მინიჭება.

ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. მარტინსკიმ თქვა, რომ აუცილებელია სოკ-ის შემადგენლობაში გაერთიანდეს მეტი ხელმძღვანელი სპორტული მოღვაწე. იქ ყველა კონტინენტს თანაბარი უფლებები უნდა ენიჭებოდეს. აუცილებელია სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნას მუდმივი და დროებითი ორგანოები ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი განყოფილებების მიხედვით. ამ ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების სპეციალისტები.

— ცხოვრება მოითხოვს, რომ სოკ-მა განამტკიცოს კავშირი ოლიმპიურ მოძრაობაში ჩაბმულ ყველა ორგანიზაციასთან, — თქვა თავის სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გამოვიდა სოკ-ის ზოგიერთი წევრის საწინააღმდეგოდ, რომელთაც წინადადება წამოაყენეს, რომ გაუქმდეს ტრადიციული ოლიმპიური რიტუალები ალმის აღმართვით და გამარჯვებულის პატივსაცემად სახელმწიფო ჰიმნის შესრულება. „ამ წესის მოსპობა,— განაცხადა პავლოვმა, — ცუდად იმოქმედებს სპორტსმენთა პატრიოტულ გრძნობაზე და დააკნინებს ეროვნული ოლიმპიური ორგანიზაციების როლს“.

ა. სტაროდუბი,
ვ. იაკოვლევი.

(საკდესის სპეც. კორ.].
ვარნა.

[illegible] მოგვითხრობს

შეჯიბრებას გეზი მიეცა

გუშინ მოსკოვში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში, დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა 41-ე საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. წინადღით კი სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მონაწილეთა წილისყრა მოეწყო. სატურნირო ცხრილში მოჭადრაკეები ასე განაწილდნენ:

1. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 2. დიდოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), 3. ოსტატი ო. ავერკინი (სვერდლოვსკი), 4. დიდოსტატი ე. გელერი (მოსკოვის ოლქი), 5. დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), 6. დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), 7. დიდოსტატი პ. კერესი (ტალინი), 8. დიდოსტატი ა. კარპოვი (ლენინგრადი), 9. ოსტატი ნ. რაშკოვსკი (კურგანი), 10. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), 11. დიდოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი), 12. დიდოსტატი მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), 13. ოსტატი ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 14. ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი, ოსტატი ა. ბელიავსკი (ლვოვი), 15. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი (რიგა), 16. დიდოსტატი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 17. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი (მოსკოვის ოლქი), 18. ოსტატი კ. გრიგორიანი (ერევანი).

ტურნირი 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება. მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი ლ. აბრამოვი (მოსკოვი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ინგლისი

შაბათს, X ტურში, „ლიდს იუნაიტედმა“ სტუმრად მოუგო „ნორვიჩ-სიტის“ — 1:0, I ლიგის ახალბედა „ბერნლიმ“ კი შინ დაამარცხა „მანჩესტერ-სიტი“ — 3:0. „ლივერპულმა“ მანჩესტერში ფრედ ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ — 0:0, „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ლონდონში მოუგო „დერბი ქაუნთის“ — 1:0.

	თ.	გ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი“	9	20:4	17
„ბერნლი“	9	18:10	13
„კოვენტრი-სიტი“	10	12:7	13

შოტლანდია

შარშანდელმა ჩემპიონმა — „სელტიკმა“ (გლაზგო) სტუმრად წააგო „სენტ-ჯონსტონთან“ — 1:2, ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოტიენმა“ გლაზგოში დაამარცხა „გლაზგო რეინჯერსი“ — 3:0.

„ჰართ ოვ მიდლოტიენი“	5	14:7	8
„მადერუელი“	5	9:3	7
„ჰიბერნიენი“	4	9:8	7

გფრ

ჩემპიონატის IX ტურში მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ შინ ქულა დაკარგა „კიოლნთან“ — 1:1, მიუნხენის „ბაიერნმა“ აგრეთვე განიცადა დანაკლისი ფრანკფურტის „აინტრახტთან“ — 2:2.

„ბორუსია“	9	28:13	15
„აინტრახტი“	8	17:8	13
„ბაიერნი“	9	23:15	12

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ შინ სძლია როტერდამის „ფეიენოორდს“ — 2:1, „ეინდჰოვენმა“ იოლად დაამარცხა „ალკმაარ 67“ — 5:1.

„აიაქსი“	7	19:7	11
„ეინდჰოვენი“	7	22:8	10
„ფეიენოორდი“	7	14:7	9

საფრანგეთი

ნიმის „ოლიმპიკმა“ შინ მოუგო „ბასტიას“ (3:1), ლიონის „ოლიმპიკმა“ კი „სოშოს“—2:1. შარშანდელი ჩემპიონი „ნანტი“ ბორდოში დამარცხდა ადგილობრივ „ჟირონდენთან“ (1:2) და ახლა მხოლოდ XIV ადგილზეა.

„ოლიმპიკი“ (ნიმი)	8	17:10	15
„ოლიმპიკი“ (ლიონი)	8	17:10	14
„სენტ-ეტიენი“	8	14:8	14

ესპანეთი

„ლას-პალმასმა“ მოუგო ჩემპიონსა და ახლანდელ ლიდერს — მადრიდის „ატლეტიკოს“ (1:0).

„ატლეტიკო“ (მადრიდი)	3	6:2	4
„ესპანიოლი“ (ბარსელონა)	3	6:2	4
„ვალენსია“	3	5:5	4

პორტუგალია

ლისაბონში ადგილობრივი გუნდების — „ბენფიკასა“ და „ბელენენსეს“ უკიდურესად დაძაბული ბრძოლა მოიგო „ბენფიკამ“ — 2:1, სეტუბალის „ვიტორიამ“ ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხა ოლიანენსის „სპორტინგი“ — 9:0.

„ვიტორია“	3	13:0	6
კუფ (ბარეირუ)	3	8:4	5
„სპორტინგი“ (ლისაბონი)	3	6:2	4

ბელგია

„ბრიუგემ“ ანტვერპენში სძლია ადგილობრივ „ბეერსკოტს“ — 2:0, ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ მოუგო „სენ-ტრონს“ — 3:0.

„მოლენბეკი“	4	9:0	7
„ლიეჟი“	4	9:4	6
„ანდერლეხტი“	4	10:6	6

უნგრეთი

„უიპეშტ დოჟამ“ დაამარცხა ბუდაპეშტის მტკ — 4:1.

„უიპეშტ დოჟა“	6	19:13	8
„ფერენცვაროში“	6	11:6	8
„შალგოტარიანი“	6	6:3	8

იუგოსლავია

VII ტურის ცენტრალური შეხვედრა ზაგრებში ადგილობრივ „დინამოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შორის სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

„ჰაიდუკი“ (სპლიტი)	7	12:5	11
„დინამო“ (ზაგრები)	7	9:6	10
„ცრვენა ზვეზდა“	7	12:8	9

სარბიელზე მეგობრები არიან

ხანოი, 1 ოქტომბერი. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად არიან მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები. გარდა შეჯიბრებებისა, საბჭოთა და ვიეტნამელი სპორტსმენები ერთმანეთს შეხვდებიან საწვრთნელ მეცადინეობებზე, რაც ორივე მხარეს შეუწყობს ხელს ოსტატობის ამაღლებაში.

პირველი ამხანაგური მატჩი სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 4:2. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხანოის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნგუენ ვან ჩანი, რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საბჭოთა დელეგაცია მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მთავარი სამმართველოს თავმჯდომარემ ლი დიკ ტინემმა.

საბჭოთა გუნდის სტუმრობას დიდ ადგილს უთმობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა. გაზეთი „ნიან ზანი“ ერთ-ერთ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა სპორტული დელეგაციის მეგობრული ვიზიტი, საბჭოთა და ვიეტნამელ სპორტსმენთა შეხვედრები უდავოდ ხელს უწყობს ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობის გაღრმავებას, ამ ორი სახელმწიფოს შემდგომ დაახლოებას.

გაზეთი „ხანოი მოი“ აღნიშნავს, რომ პარიზის შეთანხმების ხელმოწერისა და მშვიდობის აღდგენის შემდეგ სსრ კავშირის სპორტული დელეგაცია პირველად ჩავიდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისი სპორტული ამბები

წყალბურთი. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზი. **8 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრის I ტური. დასაწყისი 19 ს.